



1
1962




— ზამთრისათვის სადგომი არ შეგვიკეთეს, საკვებს არ გვიმზადებენ, ყან-
შებს კი ჩვენი სასილოსე კოშკივით სცლიანს

№ 19 თბილისი ობტოზობარი 1962

ნიანე

გამოცემის 89-40 წელი, ფასი 20 კპ.

კომბინირებული საკვები კომბინატორები



დილის „გამამხნეველი“
ვარჯიში ტელევიზორთან.

ზღაპრული ადგილია ეშერა. გულმა აბა როგორ გაგიძლოს, რამდენიმე დღე დაპყრო სოხუმში და ეშერა არ მოინახულო! თუმცა ახლა ეშერას სილამაზეზე კი არა, ეშერული ამბავი უნდა გაიბოთ და არა ზღაპრული, რომელშიაც ნაამბობი იქნება, რა ზღაპრულად მდიდრდებოდნენ კომბინირებული საკვებით ეშერული კომბინატორები.

ეშერის კომბინირებული საკვების საამქროს ყოფილი უფროსი მიხეილ შაფათას ძე ინალიფა გავლენიანი კაცი იყო. კაცმა ეშერაში იმსახურეს და სოხუმში გავლენა არა ჰქონდეს, რაღაც კაცი იქნებაო, ამბობდა და უღვაშებზე ისევამდა ხელს.

ჰოდა, ჰქონდა გავლენა ინალიფას. სოხუმის ჰურბოდუქტების ბაზის დირექციის წყალობა არასოდეს მოშლია და საამქროს უფროსმა ნელნელისა და მზაროდუქციის საწყობების გამგეების თანამდებობებიც იმიტომ მიიღო და თავი ქუდში იგრძნო.

ჰამა უნდოდა ინალიფას, მაგრამ ზეპირად იცოდა ქართული ანდაზაც, „მარტოხელა კაცი ჰამაშიაც რომ ბრალია“ და ნელნელის № 2 და № 4 საწყობების გამგეები სევერიან ქაჩიბაია და შოთა გოგია ისე დაიმეგობრა, სუნთქვა გაუყოფელი რომ იტყვიან. სულ ერთად „მუშაობდნენ“, ერთად ატარებდნენ დროს, ერთად „ჰამდნენ“.

და ჰამდნენ მათ მიერ გამოშვებულ კომბინირებულ საკვებს პირუტყვები წალკასა და მარნეულში, თეთრ-წყაროსა და წითელ-წყაროში, აბაშასა და ზუგდიდში, სხვა რაიონებსა და რესპუბლიკის საზღვრებს მიღმა, ჰამდნენ პირუტყვები, რომლებსაც კომბინაციისა და კომბინატორების შესახებ წარმოდგენა არა ჰქონდათ. ჰამდნენ და იცოხნებოდნენ, ეგონათ გასუქდებოდნენ, გაიხარებდნენ და პატრონებსაც დაატკობდნენ, მაგრამ...

...საღსალამათი პირუტყვები ძღებოდნენ კომბინირებული საკვებით, მაგრამ გასუქებას ვინა ჩივის, ხდებოდნენ, მკლევდებოდნენ, ავადდებოდნენ და ზოგზოგები ფეხებსაც ფშეკდნენ.

გამოცხადდა განგაში, გაისინჯა, გაინალიზდა კომბინირებული საკვები და კომბინირებულმა ნახელავმა ეშერული კომბინატორების უგვანო, უსინდისო და უღამიანო ღვაწლს ფარდა ახადა, რამეთუ საქმემან მათმან გამოაჩინა ისინი.

ინალიფამ ხუთზე იცოდა მიმატებაც და გამოკლებაც, გამრავლებაც და გაყოფაც, პროცენტებშიაც ჩინებულად ერკვეოდა; იცოდა იაფფასიანს ძვირფასად რომ გაასაღებს, სხვაობა რომ საერთო „სალაროს“ შეემატება. მერე სამთა შორის გაიყოფა და თითოეულის ქონება გამრავლდება; პირუტყვი რომ პირუტყვი იმიტომაა, რომ არაფერს იტყვის, რადგან არითმეტიკა არ ესმის და პროცენტებზე ელემენტარული წარმოდგენა არა აქვს.

კომბინირებული საკვები სიმინდის

ფქვილსაც შეიცავს, პურის ფქვილსაც, ქერსაც, მარისსაც და კიდევ სხვა დანამატებს და მინარევებსაც და ფრინველების, ღორების, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის საკვებში მარილის ოდენობა 0,3 პროცენტიდან 1 პროცენტამდე უნდა შედიოდეს — იცოდა ეს ინალიფამ, იცოდნენ ეს მისმა ძმაცაცებმა, მაგრამ არ იცოდნენ, ან არ ისურვეს ცოდნოდან, ან არცოდნა არცოდვად მიიჩნიეს და პურეულს მარილი მეტი გაურის; 1 პროცენტის მაგივრად, 7-8-10, 2-11,5 12,3% ნაკლები პურით და მეტი მარილით გაუმზადეს პირუტყვს პურ-მარილი — კომბინირებული საკვები და ათიათასობით მანეთებმა დაიწყეს ცვენა მათს უძირო ჯიბეებში. კილოგრამი მარილი რაღაც კაპიკები ღირს, მაშინ, როცა პური, სიმინდი და ქერი შედარებით ღირად ფასობს და ფასების ამ განსხვავებამ გაასქელა მათი ქისა.

მარილის ზედმეტპროცენტიანობით წარმოებულ კომბინირებული საკვების სიჭარბე რომ დაეფარათ, პურს, სიმინდს, ქერს, და ასეული ტონობით კომბინირებულ საკვებს განზე ასაღებდნენ და ხელს ითბობდნენ.

დგებოდა ფიქტიური ცნობები, თითქო ამა და ამ რიცხვებში ორ-სამ ცვლად იმუშავეს ქარხნის მუშებმა და დამზადეს ამდენი და ამდენი ტონა საკვებიო.

ფიქტიური დოკუმენტების მაგიური ძალით ინალიფამ, ქაჩიბაიამ და გოგიამ 411.535 კგ კომბინირებული საკვები მიითვისეს და კერძო პირებს მიჰყიდეს.

კერძო პირებს მიჰყიდეს აგრეთვე ათასობით კილოგრამი პური, სიმინდი და ქერი, რომლებსაც საკვების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების ინალიფასეული გეგმის მიხედვით დარღვევითა და არეგდარევიტ გამოორჩინენ.

მათ მიერ დამზადებული კომბინირებული საკვების ხმარების შედეგად მრავალი საქონელი დაავადდა და ნაწილმა თქვენი ჭირი წაიღო...


ქარხნის ქიმიკოსის თინა ბოთერაშვილის მეცნიერული კურთხევით წაქეზებული წმიდა სამების: ინალიფას, ქაჩიბაიას და გოგიას კომბინატორული მოღვაწეობა დამთავრდა ვითა სიზმარი დამისა.

ახლა საბრალმდებლო სკამზე სხედან ოთხივენი და ელიან განაჩენს.

მათი ხელისშემწყობნი კი უღვაშებში იციინან და დაუჭერელი ქურდი ქურდი არ არისო, ამბობენ...

ასე მეტყველებს პირუტყვების მიმართ ჩადენილი ამეტყველებული დანაშაული.

ხვჩხა.





ზოგჯერ ტკბილი პურ-მარილი



ანგარიშით: გამწარდების.

კითხვებს უპასუხებს

ხშირად ექავებოდა ხელისგული ლაგოდების რაიონის ვარდის-უბნის სოფლის კოოპერატივის თავმჯდომარეს გიორგი ხანდოლი-შვილს და კარგადაც ჰქონდა დაცდილი: თუ ფულს არ იპოვებდა, ისეთ რამეს მოიფიქრებდა, რომ ხელისგულის ქავეილს ტყუილად არ ჩაეგლო. იმ დღესაც სწორედ ასე მოხდა.

— როგორ მექავება ე ვერანა, ლამისაა სისხლი ვიდინო, ნეტავი საიდან გაჩნდება ფული, ჰა?

ფული თავისთავად არ ჩნდება და გიორგიმაც აამუშავა ტვინი.

— ჰაი დედასა, აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრე და გიორგიმ თავის ქვეშევრდომსა და მილარე-მოანგარიშე ნიკო კვინიკაძეს გაანდო საიდუმლო.

— ხუციშვილი ხომ იცი, ცოდნისკარის სასადილოს მებუფეტე?

— მაშა!

— ჰოდა, იმას ხუთი ათასი მანეთი აკლია, პურმარილიანი კაცია, გაჭირვების დროს მხარში უნდა ამოვუდგეთ. ასე არ არის?

— მაშა!

— ახლა შენზეა, დაუკავე ხელფასი ვაჭრობის ყველა მუშაკს და ფული მე ჩამაბარე, გესმის?

— მაშა!

ნიკო „უანგაროდ“ შეუდგა უფროსის „კეთილშობილური“ ბრძანების აღსრულებას, ვაჭრობის ოცდაათ მუშაკს ხელი მოაწვრინა ხელფასის უწყისზე და ურჩია:

— თქვენ როგორმე ხალტურით გადით იოლას, ეს ფული კი კეთილ საქმეს უნდა მოხმარდეს.

— ჩვენი ფულიცა და სულიც თქვენს ხელშიაო, — უპასუხა მრევლმა და მორჩილად შეასრულა ნიკოს ბრძანება. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ გიორგიმ ამ ფულის ნაწილიდან მართლაც დაფარა გაფლანგვის კვალი, დანარჩენი კი საქმის ორგანიზაციისათვის თვითონ მიიკუთვნა, მაგრამ ისეთი გაქანების კაცი, როგორც გიორგი იყო, აბა რას იკმარებდა ასეთ მცირედს და არც იკმარა. ამჯერად ფულის შოვნის იდეა მაღაზიის გამგე ბორის მათი-შვილმა და საწყობის გამგე ისაი შუკაკიძემ შესთავაზეს.

— გვაქვს საქონელი ურიცხვი ვერვისგან ანაწონები, — მიმართეს მათ გიორგის.

— საიდან?

— თბილისიდან.

— რა?

— ჩვიდმეტათასამდე კილოგრამი ლურსმანი, ხუთიათას კილოგრამამდე მავთული, ათასშვიდას კილოგრამამდე მოთუთიებული რკინა, ოცდათერთმეტი ცალი შეკერილი ბრეზენტი სატვირთო მანქანებისათვის, ასრვა კილოგრამი კანაფი და სხვ.

— მერე და, ამდენ რკინას, რკინის მკვნიტელებიც რომ იყოთ, ორი კაცი ვერაფერს დააკლებთ.

— ეგ ნუ გეფიქრებათ, ჩვენს გარდა ბაისუბნის მაღაზიის გამყიდველები რეზო გოგოლაძე, ზაურ ბარბაქაძე და ტარიელ ლომიძე, სოფელ ფონის მაღაზიის გამყიდველები გიორგი კოზავეი, გიორგი კურტანიძე და სხვები არიან, თქვენ მხოლოდ უფლება მოგვეცით და, ჩვენი მხრიდან, პატივსაცემად სამი ათას მანეთს მოგართმევთ.

— ჰაიტ, — იკვილა გიორგიმ, — თქვენ ვაჭრობაში რა გინდათ, თქვენ უფრო დიდი ადგილი უნდა გეკავოთ, თქვენ მეცნიერები ან გამოგონებლები უნდა იყოთ, დაჰკათ ხელი და... გიორგის მარჯვენა თათს ორი თათი დაეწყო ზევიდან, მაგრამ არა ცარიელი, არამედ სავსე, შეპირების თანახმად და ლაგოდების რაიონის სოფლის მაღაზიები გაივსო უფაქტურო საქონლით, უფაქტურო საქონელი კი თბილისიდან მოდიოდა, ვინმე გიორგი დარჯანიასა და აკაკი ცინცაძის მეშვეობით. ალბათ, დარჯანია და ცინცაძეც ვიღაცეების საშუალებით ახერხებდნენ უფაქტურო საქონლის შოვნას, ასე თუ ისე, ჩახლართული ძაფის წვერი ნაპოვნია და მალე ეს ძაფი ისე გაიჭიმება, რომ ერთი ნაწყვეტი და ნასკვიც არ გამოყვება.

გ. პატარაძე





— სწრაფად ავირბინოთ კიბეები, თორემ თუ ძაღლია აიყვითა, სამკურნალოდ ჩვენ გაგივლიდა საქმი!

ჩემი მშენებელი

დაწმუნებული ვარ, ვახტანგ მეფე რომ ხოხობი ჩამოხდნო. ჩვენი მხალი უკვე აშენებდა იყო მგერბი მისი ისტორიისი არაუფრო ამბობს ამის შესახებ. ისე კი, უნდა პატარა მწიბვარი და ჩვენი საბუღალთა მშენებელი კაციები გაგივლიდა მინა...

ჩემი ბებები რომ ხევენ სამშობლებოზე ყველას უნდა იცოდნენ იმას რატი, რომ სხვები ნაკლებად ეძინებათ და როგორც მთავარმა ბუღალტერმა განმარტება ერთი თვის ხელფასით ჩამოიღებდნენ. ენებოდათ რომ გამცემი-მოცემლს ხანმოკლეობა და სხვა სხვა სახის პრობლემები შეეპყრო.

მეორე დღეს თავი ბურთიანი ჭეშქარი გაგებოდა, დარბინი-ნიჭებიანი დადობილი და წიბები მწირად ერქვათ მის... ჩვენი ხელფასები წინააღმდეგობა წინააღმდეგობა... მარცხი მარცხი...



ნახ. კ. ხუბარძისა

ნახ. კ. ხუბარძისა. მთელი მთელი მთელი მთელი... მთელი მთელი მთელი მთელი... მთელი მთელი მთელი მთელი...

საქართველოს საბჭოთაო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

საბჭოთა კავშირის თვის ბოლოს სამშობლებოში არ მიესალმები. ხოლო თვის ბოლოს, საბჭოთა კავშირის თვის ბოლოს მთავრად ბუღალტერმა ჩემი კება და ერთის სადღიასი არასად განადა, მოულოდნელია და იმისად დაელოდა: — ამ თვის ზღვრული ანბანგ ვაგაძის მხრიდან დაამატებოდა.

— ბანი მოგამწველ, ბატონო, პანაშენები ხომ არ მოესალმებით? აუბნენ ჩემი სიამბაძის და ვაი, რომელიც პირიდან ჩხუბისა და გინების მეტი სიტყვა არ ამოსვლიდა, დათვით ამავედღეს.

— გინე ბიკივე, შენა! — მეხსენს ჩემ სიამბაძის და იმდენი კიციენი, სანამ წითლა და დავითი ნაშენი კბილის პარტიკებზე სინდული არ დაუქარაგეს. დღითი თვსის წევრები ამბატუნენ თავზე.

— გინე გინე, გინე გინე, გინე გინე, გინე გინე... გინე გინე, გინე გინე, გინე გინე, გინე გინე...

ნაშთადეს სამშობლებოში მივივარდი. სამაშობლებოში უფრო რისი საყვედურზე თავი ჩაქვნი და ბლიაჩკინის აქტივობებზე...

მ. ბაშაქაძისადმი





ნახ. გ. ლომიძისა

და გოლი ნაკოლეონის ჟღეს ისწორავს.

აკვოგაცეხები

კისლოვოდსკის ავტოსატრანსპორტო კანტორის ავტომანქანამ — სარეისო ტაქსი — ზიმი СБ-75-41, ილია იოსების-ძე ზახარჩენკოს მძღოლობით თბილისელი დამსვენებელი ჩამოიყვანა ჯაფარიძის ქუჩაზე ამა წლის 21 ივნისს.

ღამით მანქანა ფანჯარასთან დააყენეს. მასპინძელმა მძღოლი სახლში შეიყვანა, გაუმასპინძლდა, ასვა, აჭამა, ალხინა.

ცხრათვალა მზე უკვე აწეულიყო უძირო ლურჯ ცაზე, როცა სტუმარ-მასპინძელს გამოეღვიძა.

იყვნენ თვითონ, იყო სახლი, იყო მზე, იყო ქუჩა, მაგრამ აღარ იყო მანქანა.

ირტყეს ხელი თავზე, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და, ბევრი იარეს თუ ცოტა, კალინინის მილიციის განყოფილების უფროსს ბორის ქებურიას მიადგნენ და შესჩივლეს.

უფროსმა უნებო თავის მარჯვენა ხელს ბონდო მესხს: ფეხბურთელი არ არის, მაგრამ ფინტების ოსტატია და, დღეს თუ ხვალ, მანქანასაც აღმოაჩენს და გამტაცებელსაცო.

გამართლდა უფროსის სიტყვა.

მესხის კაბინეტში აწკრიალდა ტელეფონი, — უცნობმა ხმამ ამცნო: „გაზის მანქანები დაათვალიერეთ, გაზის მანქანები...“

რამდენიმე დღეში საქ. გაზის კანტორის მმართველთან ტკბილად მოჭუჭუკე მძღოლი ჯემალ გიორგის-ძე ბუზარიაშვილი დააკავა მესხმა... იუარა ჯემალმა, თქვა ცივი უარი, დაანახა მესხმა ცხელი თვალეები და... ამოიდგა ჯემალმა ენა...

თბილგაზის გარაჟს მძღოლად ჰყავდა ჯემალი და არა ხაჩიკ ხაჩატურიანი, მაგრამ ჯემალს ყავდა ძმაკაცად ხაჩიკი, რომელიც ოფი-

ციალურად არსად მუშაობდა (თუმცა, რას ვამბობ, ჯემალთან ერთად „მუშაობდა“).

გაზის ბალონებით დატვირთული მანქანით გავიდრდნენ თბილისის ლაბირინთებში ჯემალი და ხაჩიკი, პატრონიან მანქანებს სეტვალს არ შეავლებდნენ, მაგრამ უპატრონოდ დარჩენილი მანქანისათვის აბა როგორ არ შეესებათ, მიაწვებოდნენ გაზის ბალონებიანი მანქანით, დასძრავდნენ, ამუშავებდნენ, გაიყვანდნენ სოფელ გარჩიანის უკაცრიელ ველზე, მოაძრობდნენ საბურავებს, კაპოტს, რადიომიმღებს, მოტორს, ერთის სიტყვით, ყველაფერს, რისი წადებაც შეიძლებოდა და ჰაიდა გაიქროლებდნენ, მონახავდნენ მუშტრებს, გაასაღებდნენ ნაწილებს, გაისქელებდნენ ჯიბეებს და მამა აბრამის ბატკანივით მიაიმტური სახით გაერეოდნენ ხალხში. გავიდოდა დრო-ჟამი, მიწყნარდებოდა მანქანის გატაცება-გაძარცვით გამოწვეული ხმაური, ახლა ისევ ვინმეს დარჩებოდა ან მოტოციკლი, ან მანქანა უმეთვალყურეოდ, ძმაკაცების თვალყურს არ გამოეპარებოდა ეს, ისევ იქოქებოდა, მანქანა, ისევ მეორედებოდა გარჩიანის ტრიალი მინდვრის ოპერაცია...



1962 წლის 21 იანვარს ძერჟინსკის ქ. 25 ეზოდან მოიპარეს მოტოციკლი.

22 მარტს აბაკელიას ქუჩაზე ააცოცეს მოტოციკლი.

28 აპრილს სოსუმელ გრიგორიანს თვალსა და ხელს შუა ააცალეს მანქანა გაზ-51...

ზემოთ ხსენებული ტაქსიკ გარჩიანის ველზე გაიყვანეს ძმაკაცებმა. ღამის წყვდიადში მოხსნეს საბურავები, კაპოტი, რადიომიმღები... ჩამოიქროლეს თბილისში, დააყენეს გაზის მანქანა გარაჟში, სასწრაფოდ „გამოიჭირეს“ ტაქსი და მისი ჭადრა მძღოლი გიორგი დიმიტრის-ძე ჩუბინიძე, შეპირდნენ ორმაგს, ჩამოიტანეს ნაძარცვი გარჩიანიდან, ხუთი ცალი საბურავი სასწრაფო დახმარების სისწრაფით მიჰყიდეს გიორგი ავეტისის-ძე დავიდოვს, რადიომიმღებით ოთარ გიორგის-ძე ჯარიაშვილი გაახარეს, ჯემალი სამსახურში დაბრუნდა კმაყოფილი, ხაჩიკმა საცოლესთან გასწია, ხოლო გიორგიმ მადლობა გადაუხადა ხელგაშლილ „მგზავრებს“ და აღმრიცხველი გამორთო მომდევნო სარფიანი „კლიენტის“ მოლოდინში...



როცა ბონდო მესხმა და ოპერატიულმა მუშაკებმა ბურძენიძემ და ხუროძემ საცოლის სახლში „მიაკითხეს“ ხაჩიკს, ხაჩიკი კარადის უკან იმალებოდა სულგანაბული და ხორცის საკვებ დანას არ აშორებდა თვალს. შენიშნა თუ არა ხაჩიკი მესხმა, ისკუპა ხაჩიკმა, დაავლო დანას ხელი, მაგრამ უმტყუნა ვეფხის ნახტომმა, უგანა მესხმა, მოატყუა ხაჩიკი და არის...

გზაზე ხაჩიკიც ატირდა და ჯემალიც, დავინდე, გვიშველე, ნუ დავგულუბავ, შეგვიბრალო, მაგრამ არ აურჩილდა გული მესხს წამობრძანდით, თქვენს დამსახურებას ავწონ-დავწონით და, მერე, დამსახურებისამებრ დავასვენებთ, აჰა თქვენნი საქმენი საგმირონი და ჩვენი სამართალიო...

ახლა წონიან მათ და მათი ხელის მომმართველთა საქმეებს...

მგზავრი

ნიანგი-კასუხა

არამო



საქართველო
საბჭოთა კავშირი

გრაფიკა მგზავნი!

ისარგებდით მგზავნი
გადახადეთ მისი მისამართით
თითო ადგილი გასაგონის
ლირაზე 30კაპ.

ГРАЖДАНЕ ПАССАЖИРЫ!

Пользуйтесь услугами
ПОСЫЛЬЩИКОВ.
СТОИМОСТЬ ПОДНОСКИ
ОДНОГО МЕСТА 30 коп.

დღეს ნიანგი კვლავ ესტუმრა დარბაზს, სადაც კითხვა-პასუხის საღამო ჰქონდა დანიშნული. იგი დარწმუნებული იყო, რომ დღევანდელ საღამოს, როგორც ყოველთვის, უამრავი ხალხი დაესწრებოდა, მაგრამ როცა დარბაზში შევიდა, სულ სხვა სურათი წარმოუდგა თვალწინ. საღამოს ნოტიოდ ორი ადამიანი ესწრებოდა. მათ ნიანგის გამოჩენა არც კი შეუნიშნავთ, რადგან დარბაზის კუთხეში კედელზე ჩამოკიდებული რადიორეპროდუქტორი მაღალ ხმაზე ჩაერთო და სასიკეთო უსმენდნენ. ნიანგს გაუკვირდა და უკან გამობრუნებას აპირებდა, რომ სწორედ ამ დროს ფოსტალიონმა დეპეშების დასტა გადასცა. გაოცებული ნიანგი მათ კითხვას შეუდგა.

— ჩემო ნიანგი, თბილისიდან გაწუხებ. დიდი სურვილი მქონდა დაესწრებოდი დღევანდელ საღამოს, მაგრამ შეცდომა დავუშვი და № 11 მარშრუტის გრა 51-52 ავტობუსში ჩავჯექი. სანამ მე ლურსმენებიან დასაჯდომებზე დაზინებულ ტანსაცმელს დავაკვებდე, საღამო, ალბათ. დამთავრდება კიდევ, მაგრამ იქნებ მიპასუხო, რატომ უშვებენ გარეიდან უსუფთაო, მინერალიზცილ და გაუმართავ დასაჯდომებიან ავტობუსებს?

მეც ხომ ავტობუსით ვიმგზავრე, — გაიფიქრა ნიანგმა და თავისი ტანსაცმელი შეათვალევინა. საბედნიეროდ, მასზე მასუთის ლაქების მეტი ვერაფერი აღმოაჩინა. იოლად გადავრჩენილვარ, — კვლავ გაიფიქრა მან და შემდეგ დეპეშას გადახედა.

— პატივცემული ნიანგი, არ იფიქრო, რომ თითქოს ჩვენ, დუშეთის რაიონის სოფლების ბულაჩაურის, ლაღანანთაურის, ჭოპორტის, აბანოს, სვეისა და სხვა მცხოვრებლებს სურვილი არ გვქონდა კითხვა-პასუხის საღამოს დაესწრებოდით, მაგრამ თქვენ თვითონ ჩვენზე კარგად იცით, რომ ხიდი დანგრეული გვაქვს და არავის ცივ წყალში გამოკურვას ვერ ვბუდავთ. გვაპატიეთ, ჩვენო ნიანგი, რომ ხელმეთრეველ გავწუხებთ, მაგრამ გვინდა ვიცოდეთ, კიდევ რამდენ ხანს გავრძელდება ჩვენი წვალეობა? პასუხს ველით.

— რა უნდა ვუპასუხო, — ჩაილაპარაკა თავისთვის ნიანგმა, — როდესაც მე თვითონ დღემდე ვილი პასუხს დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, არც პასუხის გაცემას ვეპირებენ და არც ხიდის შეკეთებას.

შემდეგი დეპეშა აბანოს რაიონის სოფელ პირველი მაისის მცხოვრებლებისა აღმოჩნდა:

— ძვირფასო ნიანგი, განა ჩვენ დღეს შენთან ერთად არ უნდა ვიყოთ, მაგრამ ჩვენი სოფლის მთავარი ქუჩა ხუთი წელია, რაც შესაკეთებელია და მასზე ჯერ არავინ ზრუნავს. წვიმიან ამინდში ვერც ავტომანქანა და ვერც ადამიანი ვერ გაივლის ამ დაჭობებულ მიდამოს, რომელსაც ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეცდომით ქუჩას ეძახის. იქნება გვიშველო რამე, ჩვენო ნიანგი!

— მეც ხომ ვაპირებდი იქ წასვლას, — გაიფიქრა ნიანგმა, — მაგრამ ვეღარ წავალ, აბა სად მცალიან ჭაობებში სასიარულოდ.

ნიანგმა დეპეშების კითხვა განაგრძო: პატივცემული ნიანგი! ქ. ბორჯომის ბორჯომის ქუჩის მცხოვრებლები დღეს შანდ ვიქნებოდით, რომ

ჩვენს ქუჩაზე გაგლა შეიძლებოდა. უკვე დიდი ხანია ჩვენი ქუჩა უნუფემო მდგომარეობაშია. ზაფხულში კიდევ შეიძლება ქვიდან ქვაზე ბტუნვით სიარული, ზამთარში კი...

ნიანგი ცუდ გუნებაზე დააყენა ამ ამბავმა და კითხვა შეწყვიტა. ისევ დანგრეული გზა. არა, დეპეშებით არაფერი გამოვა, აი, ჩავალ ერთ მშენებელ დღეს და... შემდეგ გაახსენდა, რომ საღამოს ორი კაცი ესწრებოდა და კითხვა-პასუხის საღამო გახსნილად გამოაცხადა. ძირველი კითხვით მას მხარაძე-ლმა ა. ძიმისტარიშვილმა მიმართა.

კითხვა. ძვირფასო ნიანგი, ამა წლის 17 ივნისს მახარაძის საარაიონთაშორისო გაზეთ „ლენინის დროშაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი „რატომ გავაუქმეს მაღაზია?“ ამ წერილს 12 ივლისს გამოეხმაურა საქვაჭრობის მხარაძის განყოფილების მმართველი შ. ბასილაიშვილი და დავებირდა, რომ მაღაზია ანასეულიის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზვანის ჩაის მეურნეობის, აგრეთვე „საქსოფლტექნიკის“ მხარაძის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებისათვის ივლისის თვეში გაიხსნებოდა. გავიდა ივლისი, აგვისტო და სექტემბერი, მაგრამ მაღაზიის გახსნაზე თავს არავინ იწუხებს. როგორ მოვიკეთო, ჩვენო ნიანგი?

პასუხი. ალბათ ახს. შ. ბასილაიშვილს 1962 წლის ნაცვლად 1963 წლის ივლისი ჰქონდა მხედველობაში და თქვენც მოიცადეთ კიდევ ერთი ან ორი წელი, პროდუქტების მომარაგება არ დაგავიწყდეთ.

კითხვა. ძმარო ნიანგი, მე კიდევ მაქვს ერთი შეკითხვა. მახარაძის რაიონის სოფელ ჭანიეთის აბანო აქვს, რომელიც სამი წელია არ მუშაობს. გარდა ამისა ჭანიეთის კოლმეურნეობას წყლის ორი დიდი წისქვილი და ერთი ელექტროსაფუთავი აქვს, რომელთაგან დღეს არც ერთი არ მუშაობს. კიდევ მეტი — ერთ წელზე მეტია, რაც სოფელ ჭანიეთში რადიო არ მუშაობს...

ნიანგი (აწყვეტილებს) — თქვენ უფრო მოკლედ შეგეძლოთ გეტქვათ, რომ სასოფლო საბჭოს აღმასკომი და კოლმეურნეობის განვითარების თავმჯდომარე არ მუშაობს-თქო. დანარჩენი ყველაფერი ცხადია. თუ ისინი არ ამუშავდებიან, არც წისქვილს ეშველება და არც რადიოს.


კითხვა. რადიოს ნუ გამახსენებთ, ძვირფასო ნიანგი! ჩოხატაურის რაიონის სოფელ შემოფარაქის მცხოვრებლები უარეს დღეში ვართ. ჯობია ჩვენი რადიო სულ არ მუშაობდეს, რადგან ისე ჩურჩულით ლაპარაკობს, რომ ყური თუ არ მიადევრებოდა, ვერაფერს გაიგებ.

პასუხი. სანამ თქვენი რადიო აღაპარაკებდა მე მოგაწოდებთ უკანასკნელ ცნობებს. ყოველ შემთხვევაში იცოდეთ, რომ ზესტაფონის ფეხბურთის გუნდმა საქართველოს თასი აიღო, ნონა გაფრინდაშვილმა კიდევ ერთი პარტია მოიგო, ქ. თბილისში ავტომანქანების მიერ ხმოვანი სიგნალების მიცემა აკრძალულია. ჯერჯერობით ეს იკმარეთ, შემდეგ სხვა ახალ ამბებსაც შეგატყობინებთ. შეიძლება რადიო იმიტომაც ჩურჩულდეს, რომ ჩოხატაურის კავშირგაბმულობის მუშაკები არ გამოადვიდნენ.

წაიკითხეთ ეს განცხადება, რომელიც თბილისის რკინიგზის სადგურის ფაზალზეა გამოკრული და მაშინ საუვედურს ადარ იტყვიან ტვირთის მზიდავმებარგულთა მისამართით, რომლებიც, განურჩევლად თქვენი ბარგის სიდიდისა, წონისა და მოცულობისა, ყოველთვის მრგვალი რიცხვებით მოითხოვენ გასამრჩელოს.

ახლად მონათლულ „მებარგე მუშებს“ რას ვერჩით, როცა, განცხადების მიხედვით, „თითო ადგილის გადატანის ღირებულება“ მტკიცედ არის დაწესებული.

ისე კი, კაცმა რომ ერთი ადგილი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაიტანოს, გასამრჩელოზე უნდა ედავოთ?! აქ ერთ ნაჭერზე, ერთ ცალზე ხომ არ არის ლაპარაკი.



რედაქტორი ნ. შველიძე. საკრედიტო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, მ. შალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჰელიძე. საქ. კომენტარები გამოცემილია

თბილისი. სატირისა და იუმორის ეჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Няньги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასახ. 29/IX-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1873, ჟგ 03339 ტირაჟი 40.000



ამერიკელ სენატორთა გაცოფება კუბის რესპუბლიკის
წინააღმდეგ, ანუ ძალი ბეფეს, ქარავანი მიდის.